ქ. თბილისი 26-08-2019

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ჩვენ, მინდობილობის გამცემნი: შ.პ.ს. „ახალი თბილისი“ (ს/კ 404501142)-ს ფინანსური დირექტორი ინგა ვადაჭკორია (პირადი № 01019016931) და აღმასრულებელი დირექტორი გეორგი სარკისიანი (პასპ. № 65N5894274) უფლებამოსილებას ვანიჭებთ „მინდობილობის მიმღებს“ - ოთარ გოგავას (პ/ნ 01011054609), მასზედ, რომ წარმოადგინოს და დაიცვას შ.პ.ს. „ახალი თბილისი“ (ს/კ 404501142)-ს ინტერესები ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, გააკეთოს განცხადება, შეათანხმოს პროექტი, გრგ, განახორციელოს მათი ცვლილებები და კორექტირებები, აიღოს მშენებლობის ნებართვა ზ/აღნიშმული შ.პ.ს.-ს სახელით, ზემოაღნიშნულ უწყებებში/ადმ. ორგანოებში წარადგინოს და გამოითხოვოს/მიიღოს ნებისმიერი ხასიათისა და შინაარსის ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია, შეასრულოს ყველა ქმედება და პროცედურა, რაც განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და აუცილებელია მინიჭებული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელებისათვის.

მინდობილობა გაცემულია 3 წლის ვადით და ძალაშია 2019 წლის 26 აგვისტოდან 2022 წლის 26 აგვისტომდე.

შ.პ.ს. „ახალი თბილისი“ (ს/კ 404501142)-ს
ფინანსური დირექტორი
ინგა ვადაჭკორია (პირადი № 01019016931) _____

შ.პ.ს. „ახალი თბილისი“ (ს/კ 404501142)-ს
აღმასრულებელი დირექტორი
გეორგი სარკისიანი (პასპ. № 65N5894274) _____

ორი ათას ცხრამეტი წლის ოცდაექვს აგვისტოს, მე, საქართველოს ნოტარიუსს ლიანა ბუხრიკიძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №81, მომმართეს: ინგა ვადაჭკორიამ და გეორგი სარკისიანმა, რომლებმაც წარმოადგინეს მინდობილობა სამ ეგზემპლარად და მოითხოვეს მასზე თავისი ექვსი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ინგა ვადაჭკორიამ (დაბ.28.03.1974წ. პირადი № 01019016931, მისამართი: თბილისი თემქა XI მ/რ I კვ. კორ. 3 ბ. 11) და გეორგი სარკისიანმა (დაბ. 07.01.1984წ. რუსეთის ფედერაციის პასპორტი ნომრით: 65#5894274, გაც. 26.04.2018წ. შსს 0600-ის მიერ, ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი კანდელაკის ქ. N 35 ბ. 37) მომმართეს.

შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მათ ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. *ხელმომწერს განემარტა, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს მინდობილობაში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე.* შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური სულ (16.16) თექვსმეტი ლარი და თექვსმეტი თეთრი. აქედან: (12.00) თორმეტი ლარი, *თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 31-ე მუხლისა*, აგრეთვე დღგ: (2.16) ორი ლარი და თექვსმეტი თეთრი, *თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსი, მუხლი 169-ე მუხლისა*. პლიუს: 2.00 (ორი) ლარი (დღგ-ს ჩათვლით) ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური, *თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილების (29 დეკემბერი 2011 წელი, დადგენილება №507) 39-ე მუხლისა.*

ნოტარიუსი ლ. ბუხრიკიძე

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191010577
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.08.20[illegible]
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლიანა ბუხრიკიძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. #81
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	95-25-20
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	86553873423819

საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წევრი

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18